ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია

წესდება

თავი I.

სკოლა-გიმნაზიის სტატუსი და მიზნები

მუხლი 1. სკოლა-გიმნაზიის ფორმა, სახელწოდება

1. წინამდებარე აქტი წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - **ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის** წესდებას.
2. წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (შემდგომ ტექსტში - „სკოლა-გიმნაზია").
3. სკოლა-გიმნაზიის ოფიციალური სახელწოდებაა: **ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია.**
4. სკოლა-გიმნაზიას იურიდიული პირის სტატუსი შეძენილი აქვს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 2. სკოლა-გიმნაზიის იურიდიული მისამართი, არსებობის ხანგრძლივობა

1. სკოლა-გიმნაზიის იურიდიული მისამართია: **ქ. გორი, სამეფო ქ. N5.**
2. სკოლა-გიმნაზიის შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

საჯარიმველ
საჯარო რეე
თარიღი "__
ამონაწერის სწორია

მუხლი 3. სკოლა-გიმნაზიის ბეჭედი

1. სკოლა-გიმნაზიას შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი.
2. სკოლა-გიმნაზიის ბეჭდის დამზადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რომელიც ადგენს ბეჭდის ზომებსა და სხვა რეკვიზიტებს.
3. სკოლა-გიმნაზიის მიერ გაცემულ დოკუმენტებზე ან სკოლა-გიმნაზიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ ხელმოწერილ სხვა დოკუმენტებზე სკოლა-გიმნაზიის ბეჭდის არსებობა ან არარსებობა არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს და მას აქვს მხოლოდ დამატებითი დაცვის ფუნქცია. დოკუმენტების ნამდვილობისათვის გადამწყვეტია სკოლა-გიმნაზიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების ხელმოწერა.

მუხლი 4. სკოლა-გიმნაზიის დოკუმენტის რეკვიზიტები

1. სკოლა-გიმნაზიის მიერ გაცემულ ყველა დოკუმენტზე (წერილზე) უნდა მიეთითოს:
   ა) სკოლა-გიმნაზიის სრული სახელწოდება;
   ბ) სკოლა-გიმნაზიის იურიდიული მისამართი;
   გ) სკოლა-გიმნაზიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის თანამდებობა, მისი სახელი და გვარი;
   დ) სკოლა-გიმნაზიის საიდენტიფიკაციო ნომერი.
2. ლიკვიდაციის პროცესში ყოფნის შემთხვევაში დოკუმენტებზე დამატებით უნდა მიეთითოს ის ფაქტი, რომ მიმდინარეობს სკოლა-გიმნაზიის ლიკვიდაციის პროცესი, აგრეთვე ლიკვიდატორის ვინაობა.

მუხლი 5. სკოლა-გიმნაზიის მიზნები, მისია და საქმიანობა

1. სკოლა-გიმნაზიის მიზნებია:

   ა) ზოგადი განათლების მიცემა დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე;

   ბ) მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისა და მაღალი ზნეობის მქონე მოქალაქეთა აღზრდა;

   გ) მოსწავლეთა სულიერი და გონებრივი მონაცემების განვითარება, ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოებაში წარმატებით დამკვიდრებაში და დამოუკიდებელ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში;

   დ) მოსწავლეთათვის ეროვნული, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, მსოფლიოში ქრისტიანული კულტურის ადგილისა და მნიშვნელობის გაცნობიერება;

   ე) პიროვნების ინტეგრირება ეროვნულ და მსოფლიო კულტურათა სისტემაში;

   ვ) სხვა, რაც აკრძალული არ არის კანონმდებლობით და რაც შეესაბამება ეკლესიის ავტორიტეტს, ქრისტიანულ მოძღვრებასა და მოსწავლეთა აღზრდის ამოცანებს.

2. სკოლა-გიმნაზიის მისიაა სწავლისათვის კეთილგანწყობილი, დადებითი გარემოს შექმნა, რათა აღზარდოს ზნეობრივად, სულიერად, ფიზიკურად და ინტელექტუალურად განვითარებული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მქონე, გულისხმიერი და შემწყნარებელი მართლმადიდებელი ქრისტიანი ახალგაზრდა, რომელიც თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს მოახმარს პირად და ეროვნულ მიზნებს.

3. სასულიერო და საერო განათლების სინთეზის ხელშეწყობის მიზნით, სკოლა-გიმნაზია თანამშრომლობს საპატრიარქოს განათლების ცენტრთან, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საერო და სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან; აწყობს და მონაწილეობს კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში.

4. სკოლა-გიმნაზია შეიძლება ეწეოდეს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და რომელიც პირდაპირ ან/და არაპირდაპირ ემსახურება სკოლა-გიმნაზიის მიზნის განხორციელებას.

5. სამეწარმეო ხასიათის საქმიანობას სკოლა-გიმნაზიისათვის შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათი და ამგვარი საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ მისი მიზნების მიღწევას.

მუხლი 6. სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სკოლა-გიმნაზია საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობისა და დამფუძნებლის აქტების საფუძველზე.

2. ყველა ის საკითხი, რაც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესდებით, წესრიგდება სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით, სასწავლო გეგმით, დებულებებით და საქართველოს კანონმდებლობით.

თავი II.
წევრობა. დამფუძნებელი

მუხლი 7. სკოლა-გიმნაზიის წევრობა

1. სკოლა-გიმნაზია არ არის წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი.

მუხლი 8. სკოლა-გიმნაზიის დამფუძნებელი

1. სკოლა-გიმნაზიის დამფუძნებელია სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (სსიპ „საქართველოს საპატრიარქო", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი N1, ს/ნ 204395537), რომელსაც წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის (სამოქალაქო სახელი - ირაკლი შიოლაშვილი, პირადი ნომერი № 01015004723) მინდობილობითა და ლოცვა-კურთხევით - გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (სამოქალაქო სახელი - ამირან გვაზავა, პირადი №62001003576) (შემდგომში „დამფუძნებელი").

თავი III.
სკოლა-გიმნაზიის მმართველი ორგანოები

მუხლი 9. სკოლა-გიმნაზიის მართვა

1. სკოლა-გიმნაზია იმართება რექტორის მიერ, რომელსაც ნიშნავს დამფუძნებელი.
2. რექტორი არის სკოლა-გიმნაზიის უშუალო მმართველი. რექტორი ინიშნება დამფუძნებლის მიერ უვადოდ. მართლმადიდებელ ეკლესიაში ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, სასულიერო და საერო პირები თანამდებობაზე (თავისი ხარისხის შესაბამისად) ინიშნებიან უვადოდ. რექტორის თანამდებობაზე ყოფნის ვადა განისაზღვრება ეკლესიის საჭიროების აუცილებლობით; წინასწარი ვადა არ არის დათქმული.
3. აღმასრულებელი დირექტორი ინიშნება რექტორის მიერ.
4. რექტორი და აღმასრულებელი დირექტორი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას განახორციელებენ დამოუკიდებლად (ცალ-ცალკე) მათი კომპეტენციების ფარგლებში.
5. სკოლა-გიმნაზიაში იქმნება ყველა ის ორგანო, რომლის არსებობა სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით.
6. სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურა და მისი ცალკეული სამსახურების ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით, რომელსაც აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 10. დამფუძნებლის კომპეტენცია

1. სკოლა-გიმნაზიის უმაღლესი მმართველია სკოლა-გიმნაზიის დამფუძნებელი.
2. დამფუძნებელი გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად.
3. დამფუძნებლის კომპეტენციაა:

   ა) სკოლა-გიმნაზიის დაფუძნება, ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია;

   ბ) სკოლა-გიმნაზიის წესდების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

   გ) სკოლა-გიმნაზიის ქონების გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა, იმ გარიგებების დადება, რომელიც სცილდება სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის ჩვეულებრივ

ფარგლებს ან რომლის ღირებულებაც აღემატება დამფუძნებლის მიერ დადგენილ ზღვარს;

დ) სკოლა-გიმნაზიის რექტორის დანიშვნა;

ე) სკოლა-გიმნაზიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი საკითხი, რომლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მიზანშეწონილად მიიჩნევს დამფუძნებელი.

მუხლი 11. სკოლა-გიმნაზიის რექტორი

1. სკოლა-გიმნაზიის რექტორი ინიშნება დამფუძნებლის მიერ.
2. სკოლა-გიმნაზიის რექტორის კომპეტენციაა:

   ა) სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესისა და სკოლა-გიმნაზიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა მსგავსი ნორმატიული აქტების დამტკიცება მათში ცვლილებების შეტანა, გაუქმება და სხვა;

   ბ) აღმასრულებელი დირექტორის წარდგენით სკოლა-გიმნაზიის საშტატო განრიგის, ბიუჯეტის, სასწავლო გეგმის, განვითარების გეგმების, დებულებებისა და ცალკეული პროექტების/პროგრამების დამტკიცება;

   გ) სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორისა და მისი მოადგილეების დანიშვნა და გათავისუფლება;

   დ) სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურის დამტკიცება და შინაგანაწესით შესაბამისი უფლებამოსილებების განსაზღვრა.

№721
ხელმოწერა

მუხლი 12. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი

1. აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
2. აღმასრულებელი დირექტორის კომპეტენცია:

   ა) სკოლა-გიმნაზიის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა;

   ბ) დამფუძნებლისა და რექტორის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა;

   გ) რექტორისთვის დასამტკიცებლად სკოლა-გიმნაზიის საშტატო განრიგის, ბიუჯეტის, სასწავლო გეგმის, განვითარების გეგმების, დებულებების, პროექტებისა და პროგრამების წარდგენა;

   დ) შრომითი ხელშეკრულებების დადება;

   ე) სკოლა-გიმნაზიაში საქმისწარმოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

   ვ) ყველა იმ მოვალეობის შესრულება, რაც განსაზღვრულია სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის შესაბამისი მუხლით.

მუხლი 13. სკოლა-გიმნაზიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

1. სკოლა-გიმნაზიის წარმომადგენლობის უფლებამოსილება აქვს სკოლა-გიმნაზიის რექტორსა და აღმასრულებელ დირექტორს მათი კომპეტენციების ფარგლებში.
2. სკოლა-გიმნაზიის რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებებია:

   ა) მოქმედებენ სკოლა-გიმნაზიის სახელით, წარმოადგენენ მას მესამე პირებთან (მათ შორის, ბანკებთან) ურთიერთობაში; სკოლა-გიმნაზიის სახელით დებენ ხელშეკრულებებს;

ბ) დამფუძნებელს წარუდგენენ სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებსა და მიზნობრივ პროგრამებს, წლიური საქმიანობის ანგარიშს;
გ) უზრუნველყოფენ დამფუძნებლის გადაწყვეტილებათა შესრულებას;
დ) უზრუნველყოფენ სკოლა-გიმნაზიის საფინანსო საქმიანობის კანონიერებას;
ე) მოითხოვენ ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშს მათი საქმიანობის შესახებ;
ვ) ასრულებენ წინამდებარე წესდებით, სკოლა-გიმნაზიის სხვა აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 14. სკოლა-გიმნაზიის სახელშეკრულებო ურთიერთობები

1. თავისი ამოცანების ფარგლებში სკოლა-გიმნაზიამ შესაძლოა დადოს ხელშეკრულებები.

თავი IV. ცვლილებები წესდებაში; სკოლა-გიმნაზიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; დასკვნითი დებულებანი

ეროვნული
სააგენტო
201 წ.

მუხლი 15. ცვლილებები წესდებაში. სარეგისტრაციო ფაქტები

1. ცვლილებები სკოლა-გიმნაზიის წესდებაში შეიტანება წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით.
2. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც წარმოადგენს სარეგისტრაციო ფაქტს, უნდა წარედგინოს სკოლა-გიმნაზიის მარეგისტრირებელ ორგანოს.
3. სკოლა-გიმნაზიის რექტორი/აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სარეგისტრაციო ფაქტების წარდგენა მარეგისტრირებელი ორგანოსათვის.

საქართველოს იუსტი
საჯარო რეესტრის ერ
შტაბი
ფილიალი
გვ. რაოდენობა ხელმ

მუხლი 16. სკოლა-გიმნაზიის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია.

1. სკოლა-გიმნაზიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
2. სკოლა-გიმნაზიის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. გადაწყვეტილება სკოლა-გიმნაზიის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება სკოლა-გიმნაზიის ლიკვიდაციის დაწყების შესახებ ინფორმაციის რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
5. ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები.
6. სკოლა-გიმნაზიის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა ერთ ან რამდენიმე არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირს, რომელსაც/რომელთაც აქვს/აქვთ სკოლა-გიმნაზიის მსგავსი მიზნები. ქონების მიღებაზე უფლებამოსილ კონკრეტულ სუბიექტს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტში ადგენს დამფუძნებელი. თუ არ დადგინდა ქონების მიღებაზე უფლებამოსილი კონკრეტული სუბიექტი, მაშინ ქონება განაწილდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. დასკვნითი დებულება

1. თუ ნებისმიერი მიზეზით ბათილად გამოცხადდება წინამდებარე წესდების ერთი ან მეტი დებულება, ეს არ გამოიწვევს მთლიანად წესდების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში, დანარჩენი დებულებები ძალაში დარჩება ბათილი დებულებების გარეშე.